ხელშეკრულება № 230
გაზიფიცირების შესახებ

ქ. თბილისი 19/04/2013 წელი

შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი“ (შემდგომში - ,,შემსრულებელი“), მთავარი ინჟინრის მოადგილის არჩილ წერეთელის სახით, ერთის მხრივ, და (შემდგომში - ,,დამკვეთი“), **შპს ,,ნიუ კაპიტალი“ მინდ. საბა გახოკია** მეორეს მხრივ, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე – „მხარე“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს დამკვეთის გაზიფიცირება მისამართზე: ქ. თბილისი, **გლდანი 1 და 2 მ/რ შორის ნაკ.16/53,** ხოლო დამკვეთი ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს შეთანხმებული საზღაური ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად.
1.2 გაზიფიცირება მოიცავს:
1.2.1 გაზიფიცირების პროექტის შესაბამისად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას (შემდგომში - სამუშაოები);
1.2.2 სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელებას;
1.2.3 გაზგაყვანილობის უსაფრთხო ექსპლუატაციაზე დამკვეთის პასუხისმგებელი პირის (საჭიროების შემთხვევაში, აგრეთვე გაზოოპერატორის) მომზადებას **(შენიშვნა: შემდგომში, ამ პუნქტის „1.2.2“ და „1.2.3“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობა მოიხსენიება, როგორც „მომსახურება“)**

2. გაზიფიცირების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 გაზიფიცირების ღირებულება შეადგენს **6241.56** ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. გაზიფიცირების ღირებულების კალკულაცია მოცემულია ხელშეკრულების №1 დანართში.
2.2 დამკვეთის მიერ გაზიფიცირების ღირებულების გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ამასთან, დამკვეთი ვალდებულია იმავე ვადაში შემსრულებელს წარუდგინოს ანგარიშსწორების განხორციელების დამადასტურებელი საბანკო საბუთი.

3. გაზიფიცირების განხორციელების ვადა და მისი მიღების წესი

3.1 გაზიფიცირება უნდა განხორციელდეს დამკვეთის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის „2.2“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან **60** სამუშაო დღის განმავლობაში.
3.2 გაზიფიცირება განხორციელებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ „გაზიფიცირების სამუშაოებისა და მომსახურების ერთიანი მიღება-ჩაბარების აქტი“-ს ხელმოწერის თარიღიდან, რომლის ტიპური ფორმა მოცემულია ხელშეკრულების №2 დანართში.

4. მხარეთა ძირითადი უფლებები და ვალდებულებები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთის გაზიფიცირება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის „3.1“ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.
4.2 შემსრულებელი უფლებამოსილია გაზიფიცირების პროცესში ჩართოს ნებისმიერი მესამე პირი, დამკვეთთან შეთანხმების გარეშე.
4.3 დამკვეთი ვალდებულია:
4.3.1 გადაიხადოს გაზიფიცირების ღირებულება ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად;
4.3.2 მხარეთა ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში უზრუნველყოს გაზიფიცირების განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვებისა/თანხმობების მიღება და მათი წარდგენა შემსრულებლისათვის;
4.3.3 განუხრელად დაიცვას გაზიფიცირების ტექნიკური პირობის და/ან გაზიფიცირების პროექტის მოთხოვნები.
4.4 დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაწყვეტა

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სადავო საკითხი გადაწყვიტონ მოლაპარაკებების გზით. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მაშინ ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.

6. ფორს–მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (შემდგომში - „ფორს–მაჟორული გარემოებები“) მოქმედებით (სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სხვა), რამაც შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების შესრულება.
6.2 ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის ან შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს, აგრეთვე შეატყობინოს მას თავისი მოვალეობების შესრულების განახლების მოსალოდნელი თარიღი.
6.3 თუ ფორს–მაჟორული გარემოებები გაგრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტი დროით, მაშინ ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, რის თაობაზედაც წინასწარ, სულ მცირე, 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე, წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს.
6.4 ფორს–მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც წარმოიშვა ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომამდე.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2013 წლის 21.04-დან და მოქმედებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
7.2 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია:
7.2.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
7.2.2 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში. ამასთან, ხელშეკრულების მოშლის ინიციატორმა მხარემ მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე;
7.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.
7.3 თუ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება დამკვეთის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო ან დამკვეთის მოთხოვნით (თუ ეს მოთხოვნა განპირობებული არ არის შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით), დამკვეთს წინასწარ გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება და, ამასთანავე, იგი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსრულებელს მის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები.

8. განსაკუთრებული პირობა

8.1 თუ დამკვეთი არ შეასრულებს ან არასათანადოდ შეასრულებს გაზიფიცირების ტექნიკური პირობის და/ან გაზიფიცირების პროექტის მოთხოვნებს, მაშინ შემსრულებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში, დამკვეთს მიეცემა გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად და იმავე დროით გადაიწევს შემსრულებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადებიც. ამასთან, თუ დამკვეთი, მისთვის მიცემულ ვადაში, არ აღმოფხვრის დარღვევას, შემსრულებელი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება მე-7 მუხლის „7.3“ პუნქტის შესაბამისად.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების/დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმების გზით.

9.2 ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამასთან, მხარეთა მიერ აღნიშნული დანართების გაფორმება (ხელმოწერა) შეიძლება არ დაემთხვეს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღეს.

9.3 ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, დოკუმენტი ან სხვა სახის მიმოწერა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ითვლება სათანადოდ გაფორმებულად, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და გაგზავნილია მე-10 მუხლში მითითებულ შესაბამის მისამართზე.

9.4. ამ ხელშეკრულებით მოუწესრიგებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.5 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად თითოეული მხარისათვის.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:
შპს ,,ყაზტრანსგაზ-თბილისი“
თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა
ს/კ 205129617, სს ,,საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22, ა/ა GE18BG0000000821305500

ა.წერეთელი

დამკვეთი:
შპს ,,ნიუ კაპიტალი“
მინდ. საბა გახოკია
მის: გლდანის 1-2 მ/რ შორის ნაკ.16/53
პ/ნ 01017023530
ს/კ 404940070

ს. გახოკია

ტელ: 599384828

შ.პ.ს. "ყაზტრანსგაზ-თბილისი"
ტექნიკური პირობა პროექტირებისათვის

(მოქმედების ვადა 24 თვე გაცემის დღიდან)

№ -07-01-07-03/ 2488 "12" 11 2012 წ.

თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილებას

(საპროექტო ორგანიზაცია, დამკვეთი)

შემოსული განცხადება (განმცხადებელი, წერილის №, თარიღი) 10781; 08.11.12

1. გლდანი, მ/რ 1-სა და 2-ს შორის. (ნაკვ. N 16/53). საკად.კოდი N 01.11.12.016.099. შპს"ნიუ კაპიტალი".
2. ობიექტის დახასიათება
2.1. ობიექტის ტიპი (საცხოვრებელი სახლი, არასაცხ. დამხმარე ფართი, არასაყოფაცხოვრებო, კომერციული ობიექტი) არასაყოფაცხ
2.2. ობიექტის გაზის ხარჯი (დასაპროექტებელი გაზმომხმარებელი დანადგარების მიხედვით)
2.2.1. სულ --- მ³/სთ.
2.2.2. დანადგარები: ---

გაზსადენი გადალაგება: ს/წ d-90 მმ L- 30 მ

(ადგილმდებარეობა, წნევა, დიამეტრი, მანძილი ობიექტიდან მიერთების წერტილამდე)

3. გაზმომარაგებისათვის საჭირო დამატებითი პირობები:
3.1. საპროექტო გაზსადენის მშენებლობა პერსპექტივის გათვალისწინებით;
3.2. არსებული მკვებავი გაზსადენის წარმადობის გაზრდა (დიამეტრის შეცვლა, გადალაგება), მარეგულირებელი ნაგებობების დამატება, ახალი მომხმარებლის მიერთებასთან დაკავშირებით;
3.3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გაზის მრიცხველების მოწყობა სადარბაზოებში, ან შენობის გარე კედელზე (პირველი სართულის დონეზე), სპეციალურ კარადებში;
3.4. მიწისქვეშა გაზსადენების მშენებლობა პოლიეთილენის მილებით;
4. ტექნიკური პირობა გაიცემა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2009 წლის 9 ივლისის № 12 დადგენილებით დამტკიცებული "ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

მთავარი ინჟინერის მოადგილე (გ.ლეფსვერიძე)

ხელშეკრულება № 07-02/_____

პროექტის საფასური _____ ქვითარი №_____

შემსრულებელი (ი.ბუჩუაძე)

საწარმოო-ტექნიკური დეპარტამენტის დირექტორი (ი.კაპანაძე)

599585301

ქალაქ თბილისის მერია
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
TBILISI CITY HALL
GREEN SPACES AND ECOLOGY DEPARTMENT

№ 12/25638-25

"20" 05 2013 წ.

მოქალაქე საბა გახოკიას
მის. ქ. თბილისი, ჯანაშიას №4
ტელ: 599 38 48 28;

თქვენი 13.03.2013 წლის (№12/25638-25) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ შპს „ნიუ-კაპიტალის" კუთვნილ ტერიტორიაზე (გლდანი I და II მკ/რ შორის საკ/კოდ 01.11.12.016.099) აფთიაქის მშენებლობის განხორციელების მიზნით 4 (ოთხი) ძირი წიწვოვანი ხის მოჭრას დიამეტრით 35.0სმ, 45.0სმ, 40.0სმ, 46.0სმ, რომელთა საერთო აღდგენითი ღირებულება შეადგენს 1290 (ათასორასოთხმოცდაათი) ლარს გაცნობებთ, რომ დაინტერესებული პირი ვალდებულია მოჭრის ნებართვის მისაღებად ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-№300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა ხის მოჭრის შესაბამისი ნებართვა.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი გიორგი ქორქაშვილი

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7; ტელ.: (+995 32) 2378 209, ფაქსი: (+995 32) 2378 221; ელ-ფოსტა: egd@tbilisi.gov.ge
7, Shartava st., 0160 Tbilisi, Georgia; Tel./Fax: (+995 32) 2378 221; E-mail: egd@tbilisi.gov.ge

საგადახდო დავალება N 5

"04" აპრილი 2013

საბუთი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

გადამხდელის დასახელება: შპს ნიუ კაპიტალი

ანგარიში (დებეტი) GE28BG0000000468209800GEL
468209800(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

გადამხდელის დასახელება: შპს ნიუ კაპიტალი

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი 300773292

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: 404940070

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში (კრედიტი) 200122900

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

გადახდის დანიშნულება: ნებართვა, მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულება

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები: ხელმძღვანელი _____ ბ. ა.

მთ.ბუღალტერი _____

თანხა

1290-00

თანხა სიტყვებით

ერთი ათას ორას
ოთხმოცდაათი ლარი 00
თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მერ: 04.04.13

ხელმოწერა

"ს.ს. საქართველოს ბანკი"
J.S.C. "BANK OF GEORGIA"
დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან
PRINTED FROM INTERNET BANK

საგადახდო დავალება N 5

"04" აპრილი 2013

საბუთი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

გადამხდელის დასახელება: შპს ნიუ კაპიტალი

ანგარიში (დებეტი) GE28BG0000000468209800GEL
468209800(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს ნიუ კაპიტალი

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი 300773292

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: 404940070

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში (კრედიტი) 200122900

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

გადახდის დანიშნულება: ნებართვა, მწვანე ნარგავების აღდგენითი ღირებულება

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები: ხელმძღვანელი _____ ბ. ა.

მთ.ბუღალტერი _____

თანხა

1290-00

თანხა სიტყვებით

ერთი ათას ორას
ოთხმოცდაათი ლარი 00
თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მერ: 04.04.13

ხელმოწერა

"ს.ს. საქართველოს ბანკი"
J.S.C. "BANK OF GEORGIA"
დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან
PRINTED FROM INTERNET BANK

ქალაქ თბილისის მერია
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური
TBILISI CITY HALL
GREEN SPACES AND ECOLOGY DEPARTMENT

№ 12/25638-25
"13" 09 2013 წ.

მოქალაქე საბა გახოკიას
მის: ქ. თბილისი, ჯანაშიას ქ. №4
ტელ: 5-58-72-68-34

თქვენი (№12/25638-25 11.09.13) განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ შ.პ.ს „ნიუ-კაპიტალი"ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (გლდანის Iმ/რ და IIმ/რ შორის საკ/კოდ 01.11.12.016.099) მშენებლობის განხორციელების მიზნით 4 (ოთხი) ძირი წიწვოვანი ხის მოჭრას დიამეტრებით: 35,0სმ, 45,0სმ, 40,0სმ, 46,0სმ გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური თანახმაა, მოიჭრას აღნიშნული ხე-მცენარეები 2013წლის 31 დეკემბრამდე.

მესაკუთრე ვალდებულია ჭრის დაწყება აცნობოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. (ტელ: 5-77-17-00-82)

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი გიორგი ქორქაშვილი

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7; ტელ.: (+995 32) 2378 209, ფაქსი: (+995 32) 2378 221; ელ-ფოსტა: egd@tbilisi.gov.ge
7, Shartava st., 0160 Tbilisi, Georgia; Tel./Fax: (+995 32) 2378 221; E-mail: egd@tbilisi.gov.ge